

შინაური საქმეები.

№ 38.

შასი ერთი შაური

წლიური შასი 4 მან.

წელიწადი მეხუთე.

შოველ-კვირული გაზეთი

კვირა, 4 ნოემბერი 1912 წელი

„შინური საქმეები“
 და თანდასმ კამბიტკუდან სომხის პაზარში, სომხიანისგან სუქის
 მალხაზაში გამოგა ყოველ თვეში ოთხი ნომერი:
გაზეთის შასი:
 წლიური ფასი: 4 მანეთი. | 2 მანეთი. | 1 მანეთი. | 2 აბაზი.
 ნახ. წლით: | 2 მანეთი. | 1 მანეთი. | 2 აბაზი.
 საშა ფუთა: | 2 მანეთი. | 1 მანეთი. | 2 აბაზი.
 კრთი თეთი: | 2 მანეთი. | 1 მანეთი. | 2 აბაზი.

შინაარსი: 1. საჭიროა თუ არა ქართველთათვის მის-
 სიონური; 2. ქვრივი ღვინაძის წვლილი—მღ. იოანე
 ლუკიანოვისა; 3. ბნელთელი აქიმი—იათფიხისა; 4.
 რით უშველოთ სოფელს ფულის საჭიროების დროს—
 ბლ. მღვ. ი. მარგიანისა; 5 კრიტიკული შენიშვნები—
 ხომლელისა; 6 კვირიდან-კვირამდე; 7 უსამართლო და-
 ბეზღება—ხუცესისა; 8 გურია-სამეგრელოს ბლადოჩინ-
 თა საყურადღებოთ—ღვ. რ. ხუნდაძისა; 9. რედაქციის
 პასუხი მ. დ. სუხიაშვილს—რედ. მღვ. ს. მჭედლიძისა;
 10. მადლობის გამოცხადება; 11. ჩვენი ფოსტა.

საჭიროა თუ არა ქართველთათვის მის-
 სიონური?

ჩვენი გაზეთის № 35 ახალ ამბებში მოყვა-
 ნილი გვექონდა სხვათა შორის ცნობა, რომ
 თბილისის სამღვდლოების კრებამ საჭიროდ არ
 სცნო მისსიონერები, რადგან ქართველთა შო-
 რის არაფერი სექტანტობა არ არის გავრცე-
 ლებული. მართალია თუ არა ეს ცნობა, ჩვენ
 არ ვიცით, რადგან პარდაპირ ჩვენთვის არავის
 შეუტყობინებია, არამედ უნარგებლეთ ვაზ.
 „სახალხო გაზეთის“ ვადმოცემით, და თუ ესე-
 თი დადგენილება მართლა მოხდა, უნდა აღვი-
 აროთ, რომ სამღვდლოებმა ან არ სცოდ-
 ნია ნამდვილი ვითარება საკუთარი სამწყსოსი
 და ან უგულოდ მოჰკიდებია მის საჭიროებას.
 ქართველ ხელს, რომ მისსიონერი, ეხლა კი
 არა, კი ხანაც არის რომ ეკირვებოდა, ეს
 ცხადზე უცხადესია. ერთი მხრივ ქართველები

ბევრი არიან მახმადიანები, ან უკეთ ვსთქვათ გამახმადიანებულნი, რომელთაც თითქმის ეროვნებაც დავიწყებულნი აქვსთ და მეორე მხრით — განმათავისუფლებელმა მოძრაობამ“ ისეთი ზიანი მიაყენა და ისე დასცა ხალხში სარწმუნოება, ისეთი ღრმა თხრილი გაავლო ხალხსა და სამღვდლოებას შორის, რომ ამ ზიანის გასწორება და ამ თხრილის ამოვსება მედგრათ თხოულობს, არა თუ ერთ და ორს, არამედ მთელ რიგს მისსიონერებისას. ამასთან იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენი სამღვდლოება დღეს არ სდგას თავის მოწოდების სიმართლეს. ბევრ სამრევლოებში მღვდლები შესაძინებელ მალა არ ღვანან თავის სამრევლოზე სწავლა-განვითარებით და ამიტომ არც შეუძლიათ პასუხი გასცენ იმ საკითხებს, რომლებიც წამოაყენა სარწმუნოების მხრივ ხსენებულმა მოძრაობამ. დღეს ის დროა, რომ უარყოფითი კრიტიკის მარცვლები ჰაერში დაფუსფუსებენ და ძალა-უნებურად პირში უცვივდებიან ყველას, ვინც კი სუნთქავს. სწორეთ ამის მიზეზია, რომ დღეს მიყრუებულ სოფლებშიდაც კი ისეთ მსჯელობას გაიგონებ შესახებ ჩვენი სარწმუნოებისა, რომლის გულში გატარებაც კი ცოდვით მიაჩნდა ჩვენ ხალხს. ასეთ მდგომარეობაში თითოეული მღვდელი მისსიონერი უნდა იყოს, აღტურვილი ღრმა სარწმუნოებით და ცოდნით, მაგრამ ეს ხომ არ არის ჩვენში და კიდევ კაი ხანი გაივლის, რომ არც იქნება.

ამიტომ აღვიარებთ და ვიმეორებთ, რომ ჩვენში საჭიროზე უსაჭიროესია მისსიონერი და არა ერთი და ორი, არამედ მთელი წყება ქეშმარიტა, თავდადებულთა მისსიონერთა და არა ისეთთა, რომლებიც თბილისში ისხდომებიან და შესაფერჯამაგირებს მიირთმევენ. ვიტყვით მეტს, თუ არ გავვირისხდებიან, მისსიონერი საჭიროა სამღვდლოების დიდი ნაწილისათვისაც...

ქვრივი დედაკაცის წყლილი.

ერთხელ მაცხოვარი თავის მოწაფეებით გამოვიდა ტაძრიდან, დაჯდა იქვე კარიბჭეში და

უცქერდა, როგორ გამოდიოდნენ მლოცველები ტაძრიდან და სდებდნენ შესაწირავს საღაროში. მდიდრები აწყობდნენ ბლომათ: ბლუჯით ჰყრიდნენ ოქროსა და ვერცხლს. უკან მიდიოდა ღარიბი ქვრივი დედა-კაცი, რომელმაც მოკრძალებით დასდვა ორი მწვლილი, ჩვენებურათ, ორი ნახევარ-კაპეიკიანი, სულ მკირედი ფული. კაცი იფიქრებდა: რის მაქნისია ეს შესაწირავი? რა უნდა გაკეთდეს მითი? იმით ვერ შეაკეთებთ ეკლესიას, ვერ აანთებ სანთელს, ვერ იყიდი საკმევებს საცეცხლურისთვის, ზეთს კანდელისთვის, მაგრამ მაცხოვარმა არამც თუ შენიშნა შესაწირავი ქვრივი დედა-კაცისა, არამედ აღნიშნა, რომ ამან ყველა მდიდარზე მეტი შესწირა. მაცხოვარმა, ანიშნა რა მოწაფეებს ღარიბი დედა-კაცი, უთხრა მათ: „ქვრივმან ამან გლახკმან უმეტეს ყოველთასა შესწირა. რამეთუ ამათ ყოველთა ნამეტნავისაგან მათისა დასდევს შესაწირავსა ამას ღვთისასა; ხოლო ამან ნაკლულევანებისაგან თვისისა ყოველი, რაიცა აქნდა საცხოვრებელი, შესწირა“. (ლუკ. 21, 3—4).

ჩვენ დროში, როდესაც ყოველივე იზომება მანათებზე, როდესაც ძალა ადამიანის ფასდება მუშტის სიმძიმით, სახარების მოთხოვნას ქვრივ დედა-კაცზე აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. როგორც ავადმყოფ კაცს ენაზე და სასახე თეთრი ხაო გადაეკრობა, და ის ვეღარ არჩევს საქმლის გემოს, ვეღარ გრძობს მლაშეს, მწარეს, მყავეს, ტკბილს, — ვგრუთვე ჩვენც ყველანი ავად ვართ სულით. ჩვენ სინიდისს სქლად დასდებია მტვერი ბოროტებისა და უკეთურებისა; და აღარა ვგრძობთ ჩვენ გულით განსხვავებას სიკეთისა და ბოროტების შორის, ვეღარ ვარჩევთ ხშირად, რა არის ადამიანის ცდომილება. ჩვენ სულ იმას ვფიქრობთ, რომ ღვთის საქმის წარმოება ქვეყანაზე მოითხოვს ჩვენგან ჩვეულებრივ საშუალებებს: დიდ ფულებს, მძლავრ უფლებას, ფართო სწავლას. გვაეიწყებდა, რომ თვით ქრისტე მაცხოვარი ურწმუნო იუდიანთა შეხედულებით იყო უმრალო ძე დურგლისა ნახარეთიდგან; რომ იმას, თავისი სიტყვის თანახმად, არა ჰქონდა ბინა,

სადაც თავი შეეფარებინა; რომ იმას არ მოეპოვა დიდრატმა (ჩვენებურად ორი აბაზი), როდესაც ხარჯის ამკრეფავებმა მოითხოვეს მისგან ეკლესიისათვის. მაგრამ მაინც ქრისტე მაცხოვარმა დააფუძნა ღვთის სასუფეველი ქვეყანაზე, რომელიც თან და თან იზრდება და მტკიცდუ-

მისი მაგალითი და მისი ქების სიტყვები კვრივი დედა-კაცის შესაწირავზე დაბეჯითებით გვეუბნებიან ჩვენ, რომ ღვთის საქმისთვის საქირთა ყველაზე პირველათ არა ის, რამდენი გაქვს შენ ცოდნა და ჰკუა თავში, რამოდენა უფლება გაქვს ხელში, რამდენი ფულები გაქვს ჯიბეში, არამედ ის, რამოდენა სიყვარული გაქვს შენ გულში ღვთის სიმაართლის მიმართ, რამოდენა ერთგულება გაქვს ქრისტესადმი სულში. სწავლული მექანიკები ამპარტავნობენ, რომ იმათ მოიგონეს ისეთი საშუალებები, რომლითაც ადგილიდან ადგილზე გადააქვსთ დიდი სახლები. შენ-კი, როდესაც გექნება მტკიცე სარწმუნოება ქრისტეს მიმართ, შეგიძლიან მთები გადაიტანო, მთები ბორცვებისა და უსამართლოებისა, რომლებიც ადამიანებმა გააშენეს ყველგან თავიანთ ვარშემო; და ეს მთები ვერ გაუძლებენ ადამიანს, თუ იგი იქნება აღვსებული სიყვარულითა ხალხისა და ღვთის სიმაართლის მიმართ.

ღვთის საქმის სამსახურში უფრო კიდევ ნაკლები ადგილი უჭერია ფულებს. ღვთის სასუფეველის მხრდა ხალხში დამოკიდებულია არა მანათობის რაოდენობაზე, არამედ სიყვარულის ძალაზე. სახარების მოთხრობა ხუთი ათასი კაცის განძღვებაზე ხუთი პურით და ორი თევზით განსაკუთრებით სამოძღვროა ამ მხრივ. დიდ ძალი ხალხი უსმენდა იესოს მთელი დღე. მზე უკვე ჩადიოდა. მაშინ მოწაფეები იესოსი მოუხდნენ მას და უთხრეს: „უდაბნო არს ადგილი ესე, და ეპი არს და ფრიად; განუტევე ერთი ესე, რათა წარვიდგინ გარემოსოფლებსა და სანახებსა, და იყიდონ თავისა მათისა საზრდელი, რამეთუ რამცა სჭამეს, არა აქვს“. იესოს არ უნდოდა, რომ ხორციელი საჭმელის გულისთვის შეეწყვიტნა სულიერი საზრდელი და უთხრა მოწაფეებს: „ხალხის გამ-

ვებასა, უკეთესთესია თქვენ აქამოთ მათ“. მოწაფეებს გაუკვირდათ, როგორ შეუძლიანთ მათ გამოკვებონ რამდენიმე ათასი კაცი, როდესაც იმათ მოეპოვებათ მხოლოდ ხუთი პატარა პური და ორი თევზი. „აქ ხომ ორასი დრაჰკანის პურია საჭირო, რომ ყველანი გასძღენ“, — სთქვეს მოციქულებმა (მარკ. VI, 37). იესომ უბრძანა მოწაფეებს, დაესხათ ხალხი ბადახზე, აიღო პურები და თევზები, აღიხილა თვალები ზეცად, აკურთხა, განსტეხა და მისცა მოწაფეებს დასარიგებლად ხალხისა. ყველამ სჭამა და განსლა. ესეც ცოტაა, პურისა და თევზის ნაჭრები მოაგროვეს კიდევ თორმეტი კალათი სავსე. აგრეთვე ყოველთვისაც კეთილ ღვთიურ საქმეში. როდესაც გინდა გააკეთო კეთილი საქმე, იმაზე ნუ-კი იფიქრებ, რომ წინაღვე მოაზნადო რაც შეიძლება ბევრი მანათობი, არამედ იმაზე, რომ სულითა და გულით მოჰქიდო ხელი. ვიმეორებ, ღვთის საქმე კეთდება ფულით-კი არა, არამედ კეთილი გულით, სიყვარულიანის სულით; კეთილი საქმე მოითხოვს კაცისაგან სუყველაზე პირველად არა ფულებს არამედ თვით კაცს, მის სულსა და გულს. დიდ ქალაქებში არსებობენ ათასი სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოება მთელი მილიონების საშუალებებით; მაგრამ აქედგან სიღარიბე სარდაფებში და სახლის ჩარდახებში ნაკლებად არა ხდება, გააფთრება უსახლ-კარო ხალხისა სრულიად არ სუსტდება. რატომ არის ეს? იმიტომ რომ, ვისაც აქვს, ისინი აძლევენ ფულებს, და თითონ-კი განზე დგებიან; ისინი ქველმოქმედობენ დაქირავებულ ადამიანთა საშუალებით; გული შესცვალეს ჯობით სიყვარულის ნაცვლად ისინი აძლევენ თავიანთ უმცროს ძმას ქისას. ისინი, ნამდვილად, სახარების სიტყვისამებრ, აძლევენ პურის მაგივრად ქვას და თევზის მაგივრად — გველს.

არ არის საკმარისი, რომ უბედურ ფეხ-შიშველას, უბინაო მახინჯს, ავადმყოფ ღიოს ჩააცვა, დაახურო, აქამო; უფრო კიდევ საჭიროა სიყვარულით მოაბო, მიხვიდე მასთან ძმური თანამგრძნობლობით. ის ხომ მომეტებულად სულით დატანჯულია, მინამ ხორკია: გამო-

როტებულისა ადამიანებზე, გამხეცებულისა. ფუ-
ლებით ველარ მოაჩვენე მას ხალხთან. აგრძობ-
ბინეთ მას ძალა სიყვარულისა, მიეცით მას
თქვენი გული, სულით მიახლოვდით მასთან.
ყველაზე მომეტებულად ხალხი საჭიროებს სიყ-
ვარულს; არაფერს ისე არ საჭიროებს ქვეყანა,
როგორც ქეშმარიტ სიყვარულს. სიყვარულით
მოეპყარით ყველას განურჩევლად, რამდენიც
შეგიძლიანთ და სადაც შეგიძლიანთ. ღვთის სა-
სუფეველი ხალხში შენდება სიყვარულზე; გუ-
ლი ადამიანისა არის საუნჯე, სადაც იკრიფე-
ბიან საშუალებანი ასაშენებლად და დასამშვე-
ნებლად ამ სასუფეველისა. ჩააგდეთ თქვენი
შესაწირავი.

თუნდაც ის ცოტა იყვეს, მხოლოდ-კი
წმიდა გულით და სულით იყვეს შეწირული.
ძალა ქეშმარიტი სიყვარულისა განიზომება
არა არშინით, იწონება არა ფუთებით, არამედ
ფასდება იმისდამიხედვით, როგორის გულს-
მოდგინებით ეკიდება კაცი ღვთის საქმეს.

თვითთულმა ჩვენგანმა ცალკე ღვთისთვის,
შეიძლება, ცოტაც გააკეთოს, მაგრამ ერთად
ხომ ბევრი ვართ ჩვენ.

ტიალ მინდორზე არის ერთი ამაღლე-
ბული გორაკი. შორიდგან, ბევრი ვერსის მან-
ძილზე, მოსჩანს მისი მწვანით მოსილი თავი.
რამდენიმე ასი წელიწადი წყიმა რეცხავს
მას, დიდი ქარიშხალი სკდილობს აღმოფხვ-
რას იგი, მაგრამ ის მაინც მედიდურად სდგას
მინდორზე. ხალხური გარდმოცემა ამბობს, რომ
ძველ დროში, ძალიან ძველათ არ იყო ეს გო-
რაკი, — ტიალი მინდორი იყო გაჭიმული ყვე-
ლა მხარეზე. ერთხელ თურმე მიდიოდა ამ ად-
გილზე ვიღაცა მეფე აუარებელის ჯარით, გა-
ჩერდა დასასვენებლად ამ მინდორზე; მოინდო-
მა რაიმე ნიშანი დაეტოვებინა, უბრძანა, თვი-
თველ სალდათს მიეტანა ერთ ადგილას ქუდით
მიწა. ვანა ბევრია ერთი ქუდი მიწა? მაგრამ
თითო ქუდით მიტანილმა მიწამ გორაკი გააჩი-
ნა. ვგრევეა ცხოვრებაშიაც. ჩვენ რომ ვიკრი-
ფებოდეთ კეთილი საქმისათვის ერთად, ვწირავ-
დეთ ადამიანს, ქვრივი დედაკაცის მზავსად,
თუნდაც ერთ წვეთს ჩვენი გულსმოდგინები-

სას, მაშინ არა სადღაცა ტიალ მინდორზე
მხოლოდ, არამედ ყველგან ქალაქებში და სოფ-
ლებში ადამიანის თავმოყვარეობის დაბლობებ-
ზე ამაღლებული იქნებოდნენ გორაკები, მთე-
ბი და ბორცვები სიკეთისა. ამათი საშვალეობით
მგზავრები ცხოვრებისა იპოვიდნენ გზას, მათ
შეაფარებდნენ თავს უამინდობაში.

დიდი ხანია შენდება ღვთის სასუფეველი
ქვეყანაზე. ჯერ კიდევ ქრისტე მაცხოვარმა დას-
ლო მისი საფუძველი. მოციქულებმა და ქრის-
ტეს სხვა მსახურებმა, სიკეთის დიდმა მოღვა-
წეებმა, ამ საქმეს შესწირეს მთელი თავისი ძა-
ლები. შესწირე შენც, მკითხველო, ღვთის საქ-
მეს შენი წვლილი შესაწირავი.

„ნეტავ ვინც კარგი საქმით აღნიშნავს
თავის დროსა,
ის აქავ ეწაფება უკვდავების წყაროსა“...
მღვდ. იოანე ლუკიანოვი

ბნელეთელი აქიმი

(გადმოკეთებული რუსულიდან).

დაბა ბნელეთში სცხოვრობდა ერთი ახა-
ლგაზდა ექიმი, რომელსაც თვისი ხელობა
კარგათ ჰქონდა შესწავლილი, მაგრამ მიუხე-
დავით ამისა, ბნელეთში, სადაც იგი ორ წელ-
ზე მეტს სცხოვრობდა, ნდობა მაინც ვერ
მოეპოვებია და ავთამყოფთა პატრონები, უკი-
დურეს მდგომარეობის დროს თუ მიმართავდ-
ნენ ხოლმე რჩევისათვის მას, თორემ სხვა
დროს ექიმს თვის კიბის შესავალთან გამე-
ლელ-გამოვლელიც კი ენატრებოდა.

შეხვედებოდნენ თუ არა, ზემოხსენებულ
ექიმს, რომელსაც წიგნი ჰუდამ ილიაში ჰქონ-
და, ბნელეთელები ამბობდნენ: — „არა, იმან
ექიმობისა არა იცის რა, თორემ სულ წიგნში
რათ ჩასჩერებია? ვინც ჰკითხულობს, მას სწავ-
ლა ესაჭიროება, ვისაც სწავლა ესაჭიროება
იმან ბევრი არა იცის რა, და ვინც ცოტას
მცოდნეა, ის რა აქიმი უნდა იყოს“? ეს იყო და
ეს ბნელეთელების აზრი იმ ექიმზე და ამ გვა-
რი ლოლიკური დასკვნას შემდეგ, რომ არც

მისი ნღობა ჰქონდათ, არ უნდა გვივირდეს.

ვინ არ იცის, რომ ექიმი, უპრაკტიკოთ, იგივე უზეთო ლამპარია. კაცს ცხოველება უნდა, ცხოვრებას სახსარი, ხოლო ჩვენს აქიმს, ბნელეში მისი ხელობით, წყლის ფასიც არ შემოდიოდა.

რალა უნდა ელონა, იფიქრა და ღონეს ისევ ხერხი ამჯობინა: ერთ მშვენიერ დღეს, ნაცნობთა შემწეობით, ხმა გაავრცელა ბნელეთში რომ მისი ცოდნა აქიმობაში იქამდის მიღწევს, რომ მას არამც თუ ავთომყოფის მორჩენა, არმედ მკვდრის აღდგენაც კი შეუძლია.

ღიახ! ღიახ! მკვდრისა, იმეორებდა იგი ალტაცებით. მიწაში დამარხულს!.. ღიახ; მე აღვადგენ რამოდენიმე ხნის მკვდარს, როდესაც თქვენ გნებავსთ, თუ გინდ შუადღისას, მთელი პატივცემული საზოგადოების თვალწინ.

თუმცა ბნელეთლებში, ძლიერ ცოტანი ერწმუნებოდნენ აქიმის ამ გვარ სასწაულებრივ ძალასა, მაგრამ დაუჯერებელნიც კი ამბობდნენ: — „შინჯოს, რა გვენაღვლება! ენახოთ, მოხელეს ხელობა როგორ ასახელებს. შეიძლება კიდევაც აღასრულოს ქადილი. ვინ იცის, ის ბევრსა ჰკითხულობს და ეხლა ხომ ბევრს რამესა სწერენ ახალ აღმოჩენებზედ. ენახოთ: აასრულებს დანაპირებს, — ტაშს დაუკრავთ, თორემ-დაუსტვენთ...“

ერთი სიტყვით გადასწყვიტეს, რომ მომავალ კვირას, ხსენებულ ექიმს ბნელეთის სასაფლაოზედ, შუადღისას, უნდა აღედგინა რომელიმე მკვდარი.

მეორე კვირას შუადღისას ბნელეთის სასაფლაოზე შეკრებილიყვნენ მთელი ბნელეთის მიდამოს ქალი და კაცი; ტევა არ იყო. კაცს ტაძრის დღესასწაული ეგონებოდა.

ერთი საათის შემდეგ, გამოჩნდა შავ ტანისამოსში გამოწყობილი აქიმი, ხალხმა გზა დაუკლავ; იგი წავიდა და შუადღილას ერთს მაღალ ლოდზედ შედგა. ხალხს თავი დაუკრა, ჩაახველა და სთქვა: — „მეგობრებო! მე თქვენ, შეგვირდით სადღეისოთ მკვდრის აღდგენას, მე ჩემს დანაპირებს ვასრულებ და აი ნიშნად საქმის შედგომისა მაღლა ხელს ვსწევ. ყური

მიგდეთ. თქვენ ეი! მანდ ნუ ლაპარაკობთ. გარწმუნებთ, რომ ჩემთვის ვისიმე მკვდრეთით აღდგენა უბრალო საქმეა. თუ გასურსთ მე აღვადგენ განსვენებულ სიმონ ბედკრულიშვილს, რომელიც თითქმის ერთი წელიწადია რაც დავასაფლავეთ.

— უკაცრავთ ბატონო აქიმო! წამოიძახა სიმონის ქვრივმა. რა თქმა უნდა, რომ იგი ყოველად კეთილი და პატიოსანი კაცი იყო და ძლიერ კარგი განწყობილება გვქონდა ერთმანეთთან. იმის სიკვდილს მე მარად დღე ვსტიროდი და ვვლოვდი და არც დამაფიწყდება მისი მშვენიერი სახე, მაგრამ ნუ ინებებთ, ექიმო, მის აღდგენას, მე ეს არის ამ თვის გასრულს უნდა სამგლოვიარო ტანისამოსი გაეიხადო და საქორწინო ჩავიცვა, ვინაიდან მე უკვე დანიშნული ვარ ჩვენს მახლობელ გრიგოლზედ; საჩუქრებიც მიღებული მაქვს და ეხლა ამ საქმის მოშლა ყოველად შეუძლებელია

— კარგი და პატიოსანი, თქვენ ძლიერ კარგათ მოიქეცით, რომ გამაგებინეთ თქვენი მდგომარეობა. რათ შეგაწუხოთ, როდესაც მე სხვისი აღდგენაც შემიძლია. მე აღვადგენ ნინა ჯანმრთელიშვილის მეუღლეს, რომელიც მირქმის მეორე დღეს დავასაფლავეთ.

— ღმერთმა დამიხსნას ბ. ექიმო! შეჰყვირა ბეჟან ჯანმრთელიშვილმა. ნინო ჩემი ცოლი იყო; ჩვენ ათი წელიწადია ერთად ვცხოვრებდით და უნდა გამოტეხილი ვსთქვა, რომ ეს ათი წელი ჩემთვის ნამდვილ ჯოჯოხეთის აღში ყოფნა იყო; ამას მთელი ბნელეთი დაამოწმებს. დაანებეთ, ბატონო, თავი ნინოს, იქ განისვენოს, სადაც ასაფლავია და მე თავის უფალი გამხადეთ. არა ნამდვილი პილპილი იყო, ჯიუტი, ზარმაცი, და მასთან უთავბოლო მულანგავი, ჩემი ნაოფლარი ცხოვრება-ქონებისა. ენას ნუ მკითხავთ! ენა ნამდვილ გველის წიწილისა ჰქონდა. ახლა ქორიკანობა? არა, ყველას როგორ ჩამოვითვლით! გთხოვთ გამოამიხსნათ სატანჯველისაგან, ნუ ინებებთ მისს აღდგენს.

— მაშ, მეზობლებო, მისმინეთ! წამოიძახა აქიმმა.

— არა, უკაცრავათ!, სიტყვა გააწყვეტი-
 ნა ბეჟანმა აქიშ, ცოლი დაემარხე, ათას-
 ნაირი ხარჯები გადაიხდა, მასთან დავიდარა-
 ბასაც მოერჩი და ეხლა ინებეთ მასთან ხელ-
 ახალი ცხოვრება. და ან როდის სცხოვრობდა
 ის ჩემთან? მისგან დანატოვარ სამ შვილში მე
 ერთიც არ მყავს... ესეც რომ არ იყოს, მე
 ახლა მეორე ქალზე ჯვარს ვიწერ და მისი
 აღდგენა ნამდვილ ხათაბალა იქნება.

— ძლიერ კარგი, მე მესმის, ბატონო,
 ბეჟან თქვენი მდგომარეობა და მე რე, ორი
 ცოლისაგან ღმერთმა დაგიხსნასთ. ამ შემთხვე-
 ვაში მე აღვადგენ; ხომ მაინც უნდა აღვადგი-
 ნო ვინმე, თუნდა აღვადგენ ძია პეტრეს.

— ძია პეტრეს ახალ სოფლიდგან? იკათ-
 ხა ფილიბემ.

— დიას! დიას! იმას.

— ოხ ჩემო ძია! ღმერთმა განგისვენოს,
 ნამდვილად წმიდანი იყო. მისი გულითადი წა-
 დილი იყო ჩვენი ერთად ყოფნა, მაგრამ
 მოკვდა თუ არა, მისი ქონება გა-
 ვინაწილეთ და ჩვენც ვავსალკვედით. მე-
 რე რამდენი დაეა, რამდენი ალიაქოთი არ
 მოგვიხდა მშებს განყოფილობის დროს. ეხლა
 ესცხოვრობთ მაგრამ რა? დოვლათი არცერთს
 არ გვატყვია. ნუ ინებებთ, ექიმო, მისს აღდგე-
 ნას, თქვენც კარგათ მოგვეხსენება რა მოუსაფ-
 ლიანი წლები გვქონდა, ჭირნახულის მოსავალ-
 იანი წლები გვქონდა, ჭირნახულის მოსავალმა
 იკლო, ვენახები სულ აგვიხმო ფილოქსერამ,
 ათას გვარ აოხრებას და გადასახადებს ძლიერს
 გადურჩით, მომავალშიც სანუგეშოს არას მო-
 ველით და ეხლა წარმოიდგინეთ ძია პეტრეს
 გაცოცხლება. მოდი და აძლიე სარჩო, პენსია,
 შინა! ნუ, ნუ, უმორჩილესად გთხოვთ, ბატო-
 ნო ექიმო!

— კარგი, ეგრე იყოს, მე არ შევანძრევ
 ძია პეტრეს გეაშს, მე აქ იმისთვის კი არ მოვ-
 სულვარ, რომ ვინმე შევაწუხო და უხერხულ
 მდგომარეობაში ჩავადო. არა, მე მხოლოდ
 ვინმე უნდა გავაცოცხო, უნდა აღვადგინო
 შედარათაგანი.

— ჩემი ქრისტიანა! ჩემი ქრისტიანა გააცო-

ცხლეთ! შესძახა წკრიალა ხმით ხალხიდგან.
 გამწარებულმა დედამ.

— არა, ბატონო ექიმო! ნუ შეაწუხებთ
 მისს ანგელოზის სულს, ჩაერია ახალგაზდა ქა-
 ლი, მან კარგათა ჰქნა რომ მოკვდა, სიკვდი-
 ლის წინეთ მე ის გამომიტყდა ყველაფერში,
 ეხლა იმან, ვინც მას უყვარდა, ჯვარი სხვაზედ
 დაიწერა.

— უბედურო, საწყალო ქრისტინე! მაშ ნე-
 ბა მიბოძეთ მღვადგინო გრიგოლი, რომელიც
 ამ ერთი თვის წინეთ მიიცვალა, სიტყვა აქიმმა.

— მე არ მსურს! მე არ მინდა! წამოიძახა
 ხალხიდგან ლევან კეკლუცაძემ და თან ორივე
 ხელებს აქნევდა, მას მე წისკვილი და ვენახე-
 ბი დაუგირავე, საიდგანაც იმდენი სარგებლო-
 ბა ნახა, რომ თავნსაც გადააქარბა, დახსნას
 ვერაფრით ვერ მოვესწრობოდი თუ სიკვდილს
 არ ეშველენია. ეხლა გაცოცხლდეს და კიდევ
 მისი მოვალე და ყურ მოჭრილი მოყმე ვიყუა
 ეს რომ დახრჩობა იქნება.

— მაშ კარგი, მე ვიცი კაცი, რომელსაც
 არც ცოლი დარჩენია, არც მოვალე და არც
 არავითარი მემკვიდრე და თქვენთვის კეთილიც
 ბევრი უქმნია. მე მახსოვს, როგორი მწვა-
 ვე გულით სტიროდით მის უდროვოთ დაკარ-
 გვას ის ჩვენთვის გენიის ცეცხლში ჩადებო-
 და, ამისთვისაც ურიგო არ იქნებოდა ის აღ-
 მედგინა. მე აღვადგენ ჩვენ საყვარელ მოძლ-
 ვარს მამა ლევანს!

— არა! არა! იგრიალა ხალხმა.

— მით უმეტეს, რომ, დაუმატა ასლანმა,
 იგი მოხუცებული იყო, მომვლელიც არ ჰყავდა,
 დაყრუვდა, შენ ელაპარაკებოდი, ის ხმას არ
 გცემდა; დასტოვეთ ის საიქიოს ღვთის სა-
 დიდებლად. ჩვენ ეხლა ახალგაზდა მღვდელი
 ავირჩიეთ, ამ არჩევისთვის შეგვიპირდა, რომ დრა-
 მას არ გადაგვახდევინებს, საცხოვრებელ სახლს
 და ადგილს არ მოგვთხოვს და გარდა ამისა
 რამდენი ხარჯები მოუვიდა კურთხევაზე.

— მაშ რალა დამრჩენია, კარგი, მიუბრუნ-
 დეთ აი იქითკენ, პატარა ხის ჯვარი რომ მოს-
 ჩანს. იმ ჯვარის ქვეშ, როგორც მახსოვს, გა-
 ნისვენებს ნორჩი, პატარა ელენა, რასაკვირ-

ველია იმას არც არავის წყენა შეეძლო, არც ვნება და მგონი ყველანი მოხარული იქნებით მისი აღდგენით, თუმცა, მე რომ მკითხოს კაცმა მისი აღდგენა ცოდვაც არის, რადგან იგი ყოველივე ამ წუთისოფლის სიმწარეს გადარჩა და ზოისვენა, და მისი ამ ქვეყნად მობრუნება და წუთისოფლის განსაცდელში ჩაგდება, მისთვის ტანჯვა-წვალების მეტი აღარაფერი იქნება. მაგრამ თუ ინებებთ ის მაინც უნდა აღვადგინო, სთქვა ექიმა.

— ბატონო ექიმო, სთქვა ტირილით ერთმა მოხუცმა ქალმა, ის ჩვენი შვილიშვილია. რომელიც უეცრივ მოგვიკვდა, რომ გენახათ, ნამდვილი ანგელოზი წარმოგიდგებოდათ თვალწინ; ღმერთმა მიიღო, იყოს ნება უფლისა! ეხლა ჩემს რძალს მეორე ბავშვი ყავს და ისიც ძლიერ ცუდი საზრდელი, ეგეც რო აღადგინოთ, ვინ უნდა მოუაროს ორ ბავშს? გაძიხვება ჩვენ არ შეგვიძლია და ორივე რომ ძუძუზე დაიკიდოს, დედაც მოკვდება და ბავშვებიც; აგვაშორე ბატონო ამ განსაცდელს. თან ესეც უნდა დაუმატო, რომ ნახევარზე შშირები ვყრივართ. ნუ შეანძრევთ ჩემ ტიტკოს სულს, ნუ ექიმო! ანგელოზი ანგელოზადვე დარჩეს.

— არ ვიცი ბატონებო როგორ მოვიქცე ნუ თუ ამდენ საზოგადოებაში არავინ არ არის მისთანა, რომელსაც ვინმეს აღდგენა სურდეს?

— ჩემი ნიკო, ჩემი ნიკო აღადგინეთ ექიმო! წამოიძახა ხალხის ბოლოში შევთავსაფრიანმა ქალვა.

— არა! არა! ღმერთმა დაგვიხსნას, იგრი-ალა ერთ ხმათ ხალხმა, ჯერ იყო და რაზმი ვარ, თქვენთვის ეშრომობ და ამისთვის თქვენც მე უნდა მემსახუროთო და თუ ვინმე რამეს ჰკადრებდა, თოფს ხან ერთს მიაღერდა, ხან მეორეს, იყო ერთი წივილი-კვილი. მერე გადიმალა და მთავრობამ დაგვახრჩო ღამე, მოგვიყვანეთ ნიკო რაზმელიო, თქვენ ინახავთ, ასმევთ და აკმევთ, თვარამ რათი გაძლებს ტყეშიო.

ბოლოსაც იყო, ბოლო მოეღო ამ ტანჯვას და ახლა კიდევ იტანჯე! მაგას რა ენალ-

ვლება ჩვენი წვალების. დააბოლოვა ერთმა შუა ხნის კაცმა, მოძრაობის დროს ხულიგათნა წოდებულმა.

— მაშ მეგობრებო, დღეისთვის ესეც კმარა და მგონი მეტიც არის, თქვენ თვითონ არ ისურვებთ, რომ მე ვინმე აღმედგინა; კარგი მე შემდეგისათვის ვეცდები აღვასრულო შენაპირები, მაგრამ მით კი არა, რომ ვინმე მკვდარი გავაცოცხლო, ამას თვით თქვენ ხდით შეუძლებლათ, არამედ მით, რომ მიმიწოდეთ ხოლმე როდესაც ვინმე გაგიხდესთ ავით და კვდებოდეს მე მას განკურნავ და გადავარჩენ უდროვით სიკვდილს. ამ სიტყვებით ხალხს თავი დაუკრა გამოემშვიდობა და გასწია შინსაკენ.

ამის შემდეგ ბევრჯერ გავვიგონია, რომ ხსენებულ აქიმს ბევრი სასწაული მოეხდინოს ბნელეთში. მას ყველა და ყოველგვარ ავათ-მყოფთან იწვევდენ და ისიც შველოდა და იხსნიდა სიკვდილის კლანჭებიდან ბნელეთლებს, რითაც ნდობაც კარგი მოიპოვა ხალხში. თუმც არ აღუდგენია მკვდარი და არ აასრულა შენაპირები, ამბობდა ხალხი, მაგრამ სეხომ მისი ბრალი არ იყო.

იათფიხი.

რით უქველათ სძუელს ფულის საჭიროებები დროს.

ჩვენი სოფელი ფულით ღარიბია. გლეხს ხარი, ან ცხენი მოუკვდა, ანა და სახლი დაეწვა, გადასახალზე ადგიან, გინა სხვა რამ საჭიროება მიაღვა და სამიოდე თუმანი ეკირვება. ის იძულებულია ხვეწნა-მუდარით მიიქციეს სოფლის წურბელასთან და ფული ისესხოს დიდი სარგებლით, რომელიც ხშირად 40-50% ადის. სუანეთში მაგალითად, წელიწადში მანეთზედ 60 კაპეისაც ახდევინებენ სარგებელს. არ უნდა ბევრი საუბარი, რომ გლეხკაცობა ამ მხრით ღიდს ვასაჭირშია ჩავარდნილი.

საქმის შველა კი ადვილია. ამისათვის საჭიროა გიხსნას საკრედიტო ამხანაგობა, რომელსაც მიზნად ის აქვს, რომ სოფლის მცხოვ-

რებთ საქიროების დროს შედგათიან პირობებში მიაწოდოს სესხი. ამ გვარი ამხანაგობის გახსნა-კი არაა ძნელი, საქიროა ენერგიული მოთავე და საქმეც ადვილად მოეწყობა მით უფრო, რომ არის მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდება წვრილი კრედიტის ამხანაგობათა მოწყობის შესახებ, რომლის შექმნა შეიძლება წვრილი კრედიტის ადგილობრივი კომიტეტისაგან (Комитетъ по дѣламъ мелкаго кредита при отдѣленіи Государственнаго банка) თფილისის გუბერნიისათვის ქ. თბილისში და ქუთაისისა—ქ. ბათუმში. ამხანაგობის შედგენა შეუძლია სურვილისამებრ რამოდენიმე პირს, რომელთა რიცხვი 20 ნაკლები არ შეიძლება. რაც უფრო ბევრი იქმნებიან მსურველნი, მით უკეთესი—უფრო ადვილად გაიღებს ბანკი სესხსა. ხსენებულნი პირნი წარმომადგენელის სწავლებით წარადგენენ ნაჩვენებ კომიტეტში განცხადებას საკრედიტო ამხანაგობის გახსნის შესახებ (განცხადების ფორმას კომიტეტისაგან შეიძენთ, იმაში ყოველგვარი ცნობებია). ამ განცხადებაში მოთავსებულ ცნობებს შეამოწმებს წვრილი კრედიტის ინსპექტორი ბანკის მინდობილებით.

როდესაც ამხანაგობის გახსნის ნებართვა მოვა, შეიკრიბებიან დამფუძნებელნი ამხანაგნი და თავიანთ შორის ირჩევენ გამგეობის წევრებს (члены правления) და მათ კანდიდატებს. საზოგადო კრება ირჩევენ აგრეთვე ოთხი ან ხუთი კაცისაგან შემდგარს საბჭოს (Провѣрочный Советъ).

სახელმწიფო ბანკი უხსნის ამხანაგობას კრედიტს რამოდენიმე ათასისას. კრედიტი ორ გვარი შეიძლება: გრძელვადიანი, და მოკლე ვადიანი. სესხი ამხანაგობამ უნდა გარდაუხადოს ბანკს ნაწილ-ნაწილად 13 წლის განმავლობაში; გადახდა იწყება მეხუთე წლიდან. სარგებელს ბანკი ახდევინებს 5% წლიურს. ყველა წევრს ამხანაგობისას გამგეობა უხსნის კრედიტს მისდა მიხედვით, თუ რამდენად სანდოა ხსენებული პირი, რომლის შემდეგ იმ პირს შეუძლიან გაიტანოს სესხი. ფულის ვატანა სესხად შეიძლება 9 თვიდან ნაკლები

ვადით. სარგებელი გატანილ ვალზედ ინიშნება 5 კაპეკიდგან 12 კაპეკამდე. საზოგადო კრებისაგანაა დამოკრძებული, თუ რამდენს მანეთს არ აშორდეს კრედიტის ნორმა წევრთათვის; მაგალითად ჩვენ ამხანაგობაში თითო წევრს 150 მანეთზედ მეტი არ ეძლევა (ნაკლები-კი), პირადი ნდობით, ხოლო გირაოს წარმოდგენით 400 მანეთამდისაც. ამხანაგობის საქმეები რომ რიგზე წავიდეს, ამისათვის საქიროა სათავეში ჩაუდგენ პატიოსანი, საქმის მოყვარული, მცოდნე და კეთილ გონიერი პირნი. ძლიერ სასურველია სოფლის სამღვდელოებამ მიიღოს მხურვალე მონაწილეობა ამ გვარ დაწესებულებაში. რუსეთში ბევრი მღვდელი თაობს ამგვარს საქმეებს და დიდი ნაყოფიც მოაქვსთ.

საქიროა საქმიანობა, საქიროა ხელი ჩაჯვით სოფლის კულტურულ ცხოვრებას, დავაარსოთ ამხანაგობანი საკრედიტო, ალკოგოლთან საბძოლველი, კოოპერატიული, ბიბლიოტეკა-სამკითხველო და სხვანი. სადაც ხალხი მონახავს საუკეთესო საზრდოს!

ცხლა რარიოდე სიტყვას მაგალითისათვის, ცავერის საკრედიტო ამხანაგობის შესახებაც მოგახსენებთ. 21 იენისიდან ამა 1912 წლისა ჩვენი მეთაურობითა და სამსონ ასათიანის დიდი მეცადინეობით გაიხსნა საკრედიტო ამხანაგობა, რომლის გამგეობის თავმჯდომარედ მე აღმირჩია ერთხმად კრებამ. დაარსებისას 38 წევრი ჰყავდა ამხანაგობას, ცხლა-კი 104 წევრი ირიცხება. მთხოვნელებიც ბევრია. ხუთ კაცს უარი უთხრა გამგეობამ მიღებაზე. ბათუმის განყოფილებაში სახელმწიფო ბანკისამ ვაგვიხსნა 3,000 მანეთის გრძელ ვადიანი სესხი 13 წლი და 5,000 მანეთის მოკლე ვადიანი. წლიურ სარგებელს გვახდევინებს ბანკი მანეთზედ 5, ხოლო ამხანაგობა ახდევინებს თავის წევრებს სესხში 12% მანეთზედ. დღიდგან დაარსებისა აქამომდე გავიდა სესხი—2971 მანეთი და 60 კაპ., რომელმაც სარგებელი შემოტანა 210 მან. 37 კაპ. და 7 მან. 80 კაპ. წვრილმანი შემოსავალი; სესხი მიეცა უმთავრეს ნაწილად მეურნეობის გასაუმჯობესებ-

ლად, სწავლა აღზრდისათვის და ვალის გადასახდელად. ეხლა მთხოვნელები ბევრია და ფული შემოგველია. ბანკს უნდა მივმართოთ მოკლე ვადიანი სესხი მოგვაწოდოს. ხალხი აღტაცებულია, რომ ამისთანა საქმე მოეწყოს. „ბატონო მოძღვარო, ურჩის ხელში სული გვეჭრებოდა, თუმანი რომ გვედომოდა, სამი თუმნის ვექსილი უნდა მიგვეცა; დროზე რომ მიიტანდი ფულს, მევალე განგებ გემალებოდა, რომ, რა არის, ვადას გადასცილდეს და ვექსილი გაასაჩივროს! ეხლა გვეშველა! დიდი მადლობელი ვარ, მამაო, რომ შრომობ ჩვენთვის! რამდენადა ღირს, რომ მევალე ველარ წამართმევს უკანასკნელ ლუკმას!“! გესმის ხშირად და გიხარია... .

მარტო ეს სიტყვებიც საჭმარისია, რომ იშრომოს კაცმა, თუმცა, ვაშობ, საშრომი ბევრი გვაქვს... სესხის გაცემა ხდება პარასკეობით 3 საათიდან 5 საათამდე, თუმცა შეიძლება კვირაობითაც ნაწირვებს; ხალხი წირვაზე მოვა, ღმერთს შევედრება და თან ფულსაც გაიტანს თავის საჭიროებისათვის.

რადგან ვხედავთ, რომ საქმე კარგათ მიდის, გვინდა-კოოპერატიულ ნიადაგზე სახმარებელი მაღაზიაც (Потребительный магазин) დაეაარსოთ; რათა ამით ვაჭრების კლანჭებიდან გამოვძვრეთ... .

ბლალ. მღვდ. ი. მარგანი.

ახალი ჟურნალი „განთიადი“

1913 წლის პირველი იანვრიდან

ქ. ქუთაისში გამოვა ქართული ყოველთვიური ჟურნალი

„განთიადი“

ჟურნალში იქნება შემდეგი განყოფილებანი: 1) ღვთისმეტყველება და ფილოსოფია; 2) არქეოლოგია და ისტორია (სამოქალაქო და საეკლესიო); 3) პოლიტიკა და ეკონომია; 4) მედიცინა და ჰიგიენა; 5) ბელეტრისტიკა და პოეზია; 6) სასოფლო მეურნეობა; 7) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; 8) შინაური და უცხოეთის მიმოხილვა; 9) სახელმწ. საბჭოსა და სათათბიროს, და სხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ანგარიში; 10) მამათა ცხოვრება; 11) მოძღვრებანი და ქადაგებანი მთელი წინამდებარე თვის უქმი დღეებისა. ჟურნალი გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში და ეღირება: წლიურათ 5 მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი, ოთხი თვით 2 მანეთი და 10 შაური; ცალკე ნომერი ყველგან 10 შაური. „შინაურ საქმეებზე“ ხელის მოშწერლებს ჟურნალი წლიურათ 4 მანეთად დაეთმობათ, ამავე ფასში ეთმობათ ჟურნალი სახალხო შკოლების მისწავლებლებს და სახალხო უფასო საშკითხველოებს. წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თავის შკოლებისათვის ჟურნალი 3 მანეთათ და 10 შაურათ ეთმობა. ჟურნალის დაკვეთა შეიძლება დღეიდანვე ქ. ქუთაისში ი. კვიციანიძის გაზეთების კანტორაში, მთავრი შეილის და აშ. წიგნის მაღაზიაში და რედაქტორთან. წლიური ფასის გადახდა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს სამი მანეთი და პირველ ივნისს 2 მანეთი.

რედაქციის ადრესი ქ. ქუთაისი რედაქცია „განთიადი“.

რედაქტორ-გამომცემელი მღ. ს. მკვლავიძე.

პრიტიკული ზანიშვნები.

(„გრდემლი“, სალიტერატურო კრებული. წიგნი I.)

წრეულს ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების გამგეობამ დასტამბა ფრიად საყურადღებო სალიტერატურო კრებულის პირველი წიგნი, სახელდობრ, „გრდემლი“. ეს პირველი დიდი ტანის წიგნი საესეა, მდიდარია საკითხავი მასალებით, მოთხრობებითა და პოემებით, აგრეთვე კრიტიკული სტატიებითაც. ამით თითქოს შეივსო ის დიდი ნაკლი, რომელიც, დიდი ხანია, ემჩნევა ჩვენს მწერლობას—ყოველთვიური ჟურნალის უქონლობა, ურომლისოდ სერიოზული მწერლობა ვერ იხიერებს ვერსად, ვერას დროს.

ყოველთვიური ჟურნალის კარგად მოწყობილი, გამოცდილ ლიტერატორთაგან შემდგარი მდიდარი რედაქცია ერთად თავს უყრის მთელი ერის ნიჭიერს მწერლებს და ფართო გზას უკაფავს ბელეტრისტიკასაც და კრიტიკასაც, რომელიც ხელმძღვანელია, ავისა და კარგის მიუკერძოებელი მაჩვენებელია ლიტერატურაში და, მაშასადამე, დიდი და ძლიერი ძალაა ლიტერატურის აღორძინებისთვის. ლიტერატურის აყვავებისთვის, გამდიდრებისთვისაც მის ასპარეზად ჩვენში, მიუცილებლად, საჭიროა ერთი თვიური ჟურნალი მაინც იყოს დაარსებული, მხოლოდ უპარტო, რომ იქ თავი თავისუფლად მოიყაროს ყველა პარტიის ნიჭიერმა, გულწრფელმა, მომზადებულმა მწერალმა, რომ ქართველი კაცის გენიამ დამოუკიდებლად გაავითაროს, წასწიოს წინ თვისი შემოქმედების ძალა ლირიკის, ბელეტრისტიკის, კრიტიკის პუბლიცისტიკის და პოლიტიკის სამფლობელოებში.

მას შემდეგ, რაც ჩვენში ახალი დრო დაიწყო, ბევრჯერ სცადეს ჟურნალის გამოცემა. პირველი თავიანთი ნაწარმოებნი ამ ჟურნალში მოათავსეს: ილია ჭავჭავაძემ, აკაკიმ და გიორგი წერეთელმა, დამოუკიდებელი, ორიგინალური კრიტიკის განყოფილება ამ ჟურნალს არ გააჩნდა. „კისკარს“ დიდხანს არ უცოცხლია

უსახსრობის გამო. შემდეგი ჟურნალი იყო „საქართველოს მოამბე“, რომელმაც სალიტერატურო ასპარეზზე გამოიყვანა, „კაცია ადამიანის“ ავტორი ილია ჭავჭავაძე, იმ დროის ქართველობას დიდი იმედი ჰქონდა, რომ ამ ჟურნალში სალიტერატურო კრიტიკაც იჩენდა თავს, მაგრამ ჟურნალს ერთი წლის განმავლობაშიც არ უცოცხლია კიდევ უსახსრობის გამო. ჟურნალი „მნათობი“ და „კრებულიც“, სადაც გამოვიდა ასპარეზზე ისეთი დიდათ ნიჭიერი ბელეტრისტი, როგორც გიორგი წერეთელი და გენიოსი კრიტიკოსი როგორც ნ. სკანდელი, კიდევ უსახსრობის გამო, მოსპობილ იქნენ. შემდეგი ჟურნალი „ივერია“ იყო, სადაც თავი მოიყარა იმ დროის ჩვენმა ნიჭიერმა მწერლებმა და, შედარებით, უფრო მეტი დროც იცოცხლა, ვიდრე წინანდელმა ჟურნალებმა. მაგრამ ბოლო ხანებში ჟურნალი „ივერიაც, უსახსრობის გამო, ისე მიილია, და დაკნინდა, რომ სამ თვეში ერთი პატარა, სულდალეული ტანის ერთი წიგნი-ლა გამოდიოდა. ბოლოს, „დროების“ მოსპობის შემდეგ, „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გამოდიოდა და ქართველობა მთელი ათი წლის განმავლობაში სრულიად უჟურნალოდ დარჩა.

ყველა გრძობდა, რასაკვირველია, ჟურნალის დიდ საჭიროებას. მაგრამ ისეთი შეძლებული, ყაირათიანი, გავლენიანი და სულგრძელი ადამიანი, როგორც ილია იყო, ქართველობაში თითქმის არც იყო; არ იყო არც ვინმე ეროვნული ინტერესებით გატაცებული ქართველი კაპიტალისტი, რომ ჟურნალის გამოცემა ეტვირთა და იმის საქმეს გაძლოლოდა..

ყოველად უეჭველია, ქართველობა დიდხანს და დიდხანაც იქნებოდა უჟურნალოთ, რომ 1894 წ. „ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობას“ არ გამოეცა ჟურნალი „მოამბე“. „მოამბემ“ დიდი, ფასდაუდებელი საშახური გაუწია ქართულ ლიტერატურას. აქ მუშაობდნენ ისეთი შესანიშნავი პირები, როგორც ნიკო ნიკოლაძე და ვასილ პეტრიაშვილი იყო. აქ დაიბადა მთელი თაობა ნიჭიერი

ახალგაზრდა მწერლების, და ათი წლის განმავლობის შემდეგ, უსახსრობისა გამო, ჟურნალი „მოამბე“ საშუალოდ მოისპო და ჩვენი „ქართველთა ამხანაგობა“ მან მიიყვანა პირდაპირ გაკოტრების კარამდე...

მას აქეთ, როგორც ხედავთ, კარები ღიაა და, აბა, ჩვენში კერძო პირი, ვინ იქნება ისეთი იდეალისტი, რომ გაბედოს ჟურნალის გამოცემა. თუ გაბედავს და, უნდა წინდაწინვე ვიცოდეთ, რომ უსახსრობისა გამო, ჟურნალი სულს მალე დაღვეს. არა თუ კერძო პირი, ჩვენ არც ისა გვწაშს, რაც სხვას საიმედოთ მიაჩნია, სახელდობრ ამხანაგობის დაარსება. ვითომც უნდათ შეადგინონ პაეზზე დაფუძნებული ამხანაგობა, რომელიც გაუძღვება თვითურა ჟურნალის გამოცემის საქმეს... ძალიან დიდი საეჭუო საქმეა. პაეზზე დაფუძნებულმა, კარგად მოწყობილმა ამხანაგობამ გამოსცა სწორედ ჟურნალი „მოამბე“ და, აი, ამ ჟურნალმა დაღუპა კიდევ ამხანაგობაც... ეგეც ვცადეთ ხომ...

მე ახლა აქაც უნდა გავიმეორო ის, რაც ადრევე გამოითქვამს მწერლობაში და მიმაჩნია აქსიომათ ჩვენი თანამედროვე პოლიტიკო-ეკონომიურ პირობებში. ქართველობის დიდი უბედურება ის არის, რომ მას არ გააჩნია ეროვნული კაპიტალისტური ბურჟუაზია. ეროვნული კაპიტალისტური ბურჟუაზია რომ გაჩნდეს ქართველობას, მაშინ ქართული მწერლობა უეჭურნალოთ დღესაც არ გაჩერდებოდა.

ახლანდელი დრო კაპიტალისტური დროა. ჩვენი ერიც ამ კაპიტალიზმის ემბაზში უნდა მოინათლოს, გარეგნულად კი არა, სისხლით და ხორციით, თუ უნდა მას სიცოცხლე. ეროვნული კაპიტალისტური ბურჟუაზია უძღვება ყოველგან თვისი შრომელი ერის აღორძინების, გამაგრების, გამდიდრების დიდ საქმეს, უძღვება აგრეთვე მეცნიერების, მწერლობის და ხელოვნების აყვავებასაც. ყოველისფერს კაპიტალიზმის დოვლათი და მადლი უხვად აუხია დღეს ამ ქვეყნად და ჩვენი ეროვნული ლიტერატურის აღორძინებაც ეროვნული კა-

პიტალიზმის მეოხებით უნდა მოხდეს, მიუცილებლად.

ეს რომ ასეა, ამას ამტკიცებს ისეთი დიდი მკოდნე ამ საქმისა, როგორც საქვეყნოთ სახელგათქმული ჟან ჟორესია: „ბექდვითი სიტყვა—საზოგადოებრივი წყობილების გამომეტყველია. იგი იცვლება წყობილების შეცვლასთან ერთად. თუ თანამედროვე საზოგადოება ფულის ძლიერებაზეა აშენებული, როგორ შეიძლება, რომ ამ ძლიერებას ბექდვითი სიტყვაც არ დაემორჩილოს. ჩვენს დროში ჟურნალ-გაზეთების წარმოების საქმე, ე. ი. გამომცემლობა—წარმოების დარგად გადაქცეულა. ეს საქმე კაპიტალს მოითხოვს და თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოების პროცესში შედის. ჩვენს დროში ორგანო მართო მკითხველი საზოგადოების საშეაღებით ველარ ხეირობს. თუ ხელის მომწერლებზე დაამყარებს თავის იმედებს; ორგანო დაიღუპებაო“ და სხ.

ხომტელი.
შემდეგი იქნება.

კვირიღამე კვირაძლე.

საქართველოს ექსარხოსის განკარგულებით, შემოქმედის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი დოსითეოსი მოწამეთის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა („სახ. გაზ.“)

ბერმონაზონი ილიოდორე.

13 ლეინობისთვის უწმინდესი სინოდის სხდომა იყო: მოისმინეს არქიეპისკოპოზ ნიკოლოზის საჩივარი ბერმონაზონ ილიოდორეს საქციელის გამო. ილიოდორეს თმა გაუკრეჭია და წვერ-ულევაში მოუპარსავს. სხდომამ ფრთად გაიკვირა ილიოდორეს საქციელი და დაადგინა, ეს ქალაღლიც მიემატოს ილიოდორეს საქმეს და დაუცადონ ვლადიმირის სასულიერო კონსისტორიის გარდაწყვეტილებას ილიოდორის საქმის გამო.

სხვათა შორის, საბლერმა განაცხადა, ილიოდორესაგან ფრთად კანნიერი და თავხედური წერილი მივიღე.

კახეთიდან თბილისის დაბრუნებულ საგანგებო კომისიას მოხსენება შეუტანია სათანადო დი- წესებულებაში, სადაც აღნიშნავს, რომ კახეთ- ში უკვე შეიღი წელიწადი ყოფილა, რაც ფი- ლოქსერა შიენივარებსო.

გარდაიცვალა პეტერბურგის მიტროპოლი- ტი ანტონი.—

საქართველოს ეგსარხოსი ინოკენტი 24 ოკტომბერს პეტერბურგს წაბძანდა სინოდში დასასწრებათ. მის მაგიერ სავგზარხოსოს მარ- თავს ბაქოს ეპისკოპოსი პიშენი.

ყ-დ სამღვდლო გიორგის ლაპარაკი ჰქო- ნია კანტორის პროკურორთან შესახებ იმერე- თის ეპარქიის სამღვდლოების სამარხი კასისა და საეკლესიო წაგნების ადგილობრ გამოცემი- სა. სამარხი კასის შესახებ პროკურორი საქმის დაჩქარებას დაპირებია, ხოლო წიგნების გამო- ცემის თაობაზე უთქვამს, რომ ეს საქმე თბი- ლისში არსებულ გამასწორებელ კამისიას ევა- ლებაო, ამით უნდა ასწორონ, ხოლო მოსკოვ- ში დაიბეჭდებო.

უსამართლო დაბეჭდება.

მოგვხსენებათ, ძველათ, როცა ხალხი სარ- წმუნობაზე უფრო მტკიცეთ იდგა, კერძო პი- რებთაგან ტაძარ-სამლოცველობის აღშენება იშ- ვიათი მოვლენა არ იყო. დღეს კი, როცა სარ- წმუნობებრივი გრძნობა ასე დაკნინდა, იშვიათი შემთხვევაა ვინმესგან საკუთარი საშუალებით შესამჩნევი თანხის დახარჯვა წმიდა ტაძრის ასა- გებად, ჩვენ შორაპნის მაზრაში ამ მოკლე დრო- ში ქველმოქმედების სარბიელზე თავი ისახელა დეკ. მ. რომანოზ დეკანოსიძემ, რომელმაც 14 ათასი მანეთი დახარჯა ხარაგოულში ორ- კლასიანი სკოლა-ეკლესიის აღშენებისათვის და ებლა კიდევ 6 ათას მანეთამდის ხარჯავს ორ- კლასიანი საქალებო სკოლის აგებისათვის. პა- ტივცემული და შეგნებული ხარაგოულის სა-

ზოგადობა არასოდეს არ დაივიწყებს მ. დეკა- ნოსიძის დეაწლს, მაგრამ ადგილობრივი „ბლა- ლოჩინი“ მ. ერმალოზ ვეფხაძე კი, წაქეზებისა და გამხნეების მაგიერათ, ცილის წამებით გულს უწუხებს და სულს უშფოთებს ამ პატივცემულ მოხუცს. იგი თურმე ათასნაირ შარებსა სდებს მ. დეკანოსიძეს. ვითომც ამ უკანასკნელს სკო- ლის ეკლესიაში შესავალ-გასავლის წიგნი არ ქონდეს, ეკლესიის შემოსავალს ბოროტად ხმარობდეს და ნებას არ აძლევდეს მას ხსენე- ბულ ეკლესიას ისეთივე „ბლალოჩინობა“ გა- უწიოს, როგორსაც სხვა მისდამი რწმუნებულ ეკლესიებს უწევს. მ. დეკანოსიძეს კი შესავალ- გასავლის წიგნი ქონებია და კანონიერათაც უწარმოებია. ან კი რა წარმოსადგენია, რომ კაცმა სკოლებზე და ეკლესიაზე ოცი ათასი მანეთი დახარჯოს და ეკლესიის წლიური შე- მოსავალი 2—3 მანეთი იჯიბოს?! რაიცა შეე- ხება ხსენებულ ეკლესიაში ბატონ-პატრონო- ბას, რათ არ იცის მ. ვეფხაძემ, რომ სკოლას და მის ეკლესიას თავის საკუთარი გამგე-შე- თვალუბრენი ყავს და ის იქ სულ გარეშე ვინ- მე ბრძანდება. მაშ გიმნაზიებისა და სემენარი- ების ეკლესიებიც სამრევლო ეკლესიათა ბლა- ლოჩინებს დაუქვემდებარონ; აბა იქაც შეიქრას მ. ვეფხაძე და რექტორ-დირექტორებს ეკლესიების შესავალ-გასავლის ანგარიშები მოთხო- ვოს და ჩვეულებრივი „პროცენტ-ნალოგები“ ახდევინოს! ყველგან თავის პიროვნების წარჩი- ნება არ ვარგა. კაცმა თავის მოქმედების წრე უნდა იცოდეს.

ბ. ავერკიევა და მ. ი. გველესიანაც უნდა იცოდენ, რომ სკოლის ეკლესიის შემო- სავალ-გასავალი მათ უნდა შეამოწმონ, უნდა იცოდენ და თავის პირად უფლებას სხვას არ უნდა უთმობდენ.

ხუცესი.

გზრია სამეზრდლოს ეპარქიის ბლალოჩინ- თა საპუზრადლაგოთ.

ყოვლად საღვდლო, გულითა-სამეგრელოს ეპისკოპოსის ლეონიდის განკარგულებით მისი მეუფების კანცელარიამ თითოეულს ბლალოჩინს

დაურიგა ჩემ მიერ შედგენილი „ტიბიკონის“ წიგნები, ხოლო ფასი წიგნებისა ეკლესიის ფულიდან უნდა გამოგზავნათ ჩემთვის. რაც ეს კიდევაც მაცნობა კანცელარიამ, მას მერე რვა თვეზე მეტი გავიდა. ჯერ გარდა ხუთი ბლალოჩინისა ფული არავის არ მოუწოდებია ჩემთვის; ის ხუთი ესენი არიან: დეკანოზი კაპიტან გაწერელია, ბლალ. ირაკლი კალანდარაშვილი, დეკანოზი გიორგი ბერიძე, ბლ. კეკელიძე და ბლ. სიმონ თოთიბაძე. დანარჩენებს ვთხოვ, უმორ ჩილესათ, კეთილ ინებონ და მომწოდონ აღნიშნული წიგნების ფასი.*)

ღვ. რ. ხუნდაძე.

რედაქციის პასუხი მ. დავით სუსიაშვილს.

„შინაური საქმეების“ № 37-ში მოთავსებული პასუხით ათავეს მ. დ. სუსიაშვილი თავის მკიცხვებთან „ბაას“ და კარგათა შერება, რომ ათავეს, რადგან, რაც არ თქვა, მეტის არც თქმა შეუძლია. მ. ბლალოჩინი არ ფარავს, რომ თითონაც თანამოაზრე ყოფილა იმ „ერთი-ორი“ (ხაზი ჩვენია. კარგათ დაუკვირდით „ერთი-ორი“ და არა ბევრის ან ყველასი) მღვდლის, რომლებსაც ჩვენი გაზეთი „სიძვირისა და გადამლაშებული ლანძღვა-გინების გამო“ დაუწუნიათ და ამის შემდეგ კიდევ ბედავს და გვეკითხება: „რა არის ამ ჩემ მოქმედებაში და სიტყვებში სასირცხო.“ თავიდანვე ბოდიშს მოვიხდი ბ. ბლალოჩინთან და მის „ორიოდე“ მღვდლის მსგავს სამღვდლოების წინაშე, თუ ჩვენი პასუხი მათ საწყენათ დაურჩებათ, და ვხლავ გავაგებინებთ, თუ რა არის სასირცხო მათ სიტყვებში და მოქმედებაში.

სასირცხოა ის, როცა კაცი იმაზე სჯის, რაც არ იცის და თავის უვიცობის თანაზიარად ხდის სხვა ბევრ გულუბრყვილო ადამიანებს. მაგ. ბ. ბლალოჩინი „შინაური საქმეების“ სიძვირეს უკიეინებს და სრუ-

*) ეს წერილი ვადმოვებდეთ გაზეთ „კოლხიდონ“ თანახმად ავტორის, „კოლხიდაშივე“ აღნიშნული თხოვნისა, რედ.

ლებით უსაფუძვლოთ, რასაც მის სრულ უვიცობას ვაწერთ ქართულ გამოცემების საქმეში. ჯერ ერთი, რომ ასეთივე კვირეული გაზეთი ბევრია სხვაგანაც, რომლებიც არა ნაკლებ 4 მანეთისა ფასობენ; მეორე, თუ რუსული ამგვარივე გაზეთები, რომელიც ჩვენ არ ვიცით, უფრო იაფათ გამოდის, ეს იმის ბრალია, რომ იგინი ასი ათასობით ითვლიან ხელის მომწერლებს და თითოეული ხელის მომწერლიდან რომ თითო შაური დარჩეს რედაქციას, ესეც დიდ ფულს შეადგენს. მაშა ბლალოჩინის ლოდიკას რომ მივსდიოთ, არც ერთი ჩვენი საერო გამოცემა თავის სიძვირისაგამო გამოსაწერი არ არის, რადგან მათაც იმდენი და იმაზე მეტი ფასი ადევთ, რაც დიდ სატახტო ქალაქის გაზეთებს, მაგ. პეტერბურგის ვედომოსტებს, „უტრო როსსი“-ს და სხვ. მ. ბლალოჩინს არ უნდა ანგარიში გაუწიოს იმ ყველასათვის თვალსაჩინო გარემოებას, რომ ის ქალაქი, რომელზედაც ჩვენი ჟურნალგაზეთობა იბეჭდება, სატახტო ქალაქების რედაქციებს მანეთით, მანეთ ნახევრით ნაკლები უჯდებათ. ეს ერთი უვიცობა და სასირცხო სიტყვა, რომელიც არ ებატიება მ. ბლალოჩინს, რომელიც უფრო ნაკითხი და გამოცდილი უნდა იყოს, ვიდრე მისი ამრჩევი სამღვდლოება ან კიდევ „ერთი-ორი“ მღვდელი, რომელთა შენიშვნამ ჩვენი გაზეთის შესახებ ასე მოხიბლა იგი.

მეორე მსგავსი ამისი სასირცხო და სავალალო საქმე, ის ვახლავთ, როცა ადამიანი თვალებს აიხვევს და არ შეხვდავს იმას, რაც ცხადზე უცხადესი დასანახია. „ერთ-ორ“ მღვდელს უთქვამს, „შინაური საქმეები“ სამღვდლოების ლანძღვის მეტს არაფერს სტამბავსო. ეს აზრი ძალიან მოსწონებია მ. ბლალოჩინს და სულიან ხორციანა დამონებია ორატორებს. ამას ქვია თვალის ახვევა და არ დანახვა იმისა, რაც დღესათვის ნათელია და მხესავით ბრწყინვალე. ჯერ „შინაურ საქმეებს“ სამღვდლოების სალანძღავი არა დაუწერია რა, სამხილებელი და გამასწორებელი კი ძალიან ბევრი, რითაც რედაქცია ამაყობს კიდევ. ლანძღვა და მხილება ბ. ბლალოჩინს ერთი-მეორი-

საგან ვერ გაურჩევია, რაც მგონია არ ეპატიება ოცი მღვდლის წინამძღოლს და გზის მაჩვენებელს მანც. ერთმანეთის მხილება, ერთიმეორის გასამართლავთ და გასასწორებლად ყველა გაზეთების ზნეა და მაშ მ. ბლადოჩინის ლოლიკით არც ერთი მათგანი გამოსაწერი და წასაკითხი არ ყოფილა. არც ის ეპატიება მ. ბლადოჩინს, რომ მტერი მოყვრისგან ვერ გაურჩევია: თუ ზოგიერთი გაზეთი (ყველაზე ვერ ვიტყვით) სამღვდლოებას ავად იხებნებს, ეს იმიტომ, რომ იგი, სამღვდლოება, მათი აზრით ამის ღირსია და საკიროც არ არის ამ ინსტიტუტის არსებობა. ხოლო „შინაური საქმეების“ მხილება სულ სხვა აზრისა და მიმართულებისაა: სცნობს რა სამღვდლოების დიდ საკიროებას, როგორც ქვეყნიერების სანთლისა და მარლისა, მას სურს, რომ ეს წოდება შესაფერ ზნეობრივ სიმდიდრეზე დადგეს. ამიტომაც ყოველ ღონეს ხმარობს იგი დადებითი სწავლიდგან დაწყებული, ვიდრე მხილებაამდე. და არც ყველას ამხილებს ხელმოსმით, არამედ მათ, ვინც სამღვდლოების ხარისხს ამცირებს თავის შეუფერებელი ცხოვრებით, აიწვორით ისე, როგორც ამ სტატიით ვამხილებთ მ. ბლადოჩინს და არა ელანძღავთ და ვთათხავთ მას, ბლადოჩინმა უნდა იცოდეს თავის მოვალეობა და არ უნდა აპყვეს „ერთი-ორის“ გულისთქმას, არ უნდა ეთანხმებოდეს მათ ისეთ რამეში, რაც საღაპარაკოთაც არ ღირს, შეიძლება „ერთ-ორ“ მღვდელს სულაც არაფერი გაზეთი და წიგნი არ აინტერესებდეს, მაგრამ განა ეს ნებას აძლევს ბლადოჩინს კვერი დაუკრას ასეთ პირებს და დაუმოწმოს მათი სიტყვა და მოქმედება? არა მგონია.

მ. ბლადოჩინს მხილება არ მოეჩნია გასწორების „უებარ“ საშუალებათ. სხეთად არც ჩვენ წარმოგვიდგენია იგი, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ერთი უფერიფასესი საშუალებათაგანი კია მისთვის, ვისაც სრულიად არ დაუკარგავს სირცხვილ-ნამუსი. მაშ თუ ასე არ არის და რათ ამხელს მ. ბლადოჩინი მრევლს ქიდაგების დროს რომელიმე ცოცხალში ან ცუდ ჩვეულებებში, თუ ამ მხილების იმედით მის გას-

წორებას არ ელის? როცა მხილება აღარ მოქმედებს ადამიანის სინილისზე, ესე, როგორც „იში“ გაოჩნებულ და გაბინძურებულ ხარზე, მაშინ იმედიც უნდა გადაწყვიტოთ მისი ზნეობრივი გამობრუნებისა და კეთილ გზაზე დადგომისა. თუ ამ ზომაზეა დღეს დამდგარი სამღვდლოება (რისგანაც ღმერთმა დავეითაროს!), თუ მან დაჰკარგა უნარი თავის ცოდვის შეგნების და გასწორებისა, მაშინ რაღა გვეთქმის, მუხლს ვიყრიოთ მ. ბლადოჩინის ანდაზის ფილოსოფიის წინაშე და ერთ „იში“-საც აღარ დავიძახებთ. მაგრამ ამ შემთხვევაში სამღვდლოებასაც ის მოელის რაც მოელის, ხოლოე ოჩინსა და უღელში გამოუხსადეგარ ხარს. მაგრამ ჩვენ არ გვჯერა, რომ სამღვდლოებაზე ძმური მხილება არ მოქმედებდეს, არ გვჯერა, რომ ეს მხილება მას გადარეცს ან გააოჩნებს. და, ვიმეორებთ, არც ყველას ეხება ჩვენი მხილება.

სასირცხოა მ. ბლადოჩინის შემდეგი ფრაზა: „ერთად-ერთი სასულიერო ორგანო ვეაქ და ისიც კვირეული, ხან ორ-კვირეულიც და თექვსმეტ გვერდამდე და ესეც რომ ჩვენ ნაკლებეანებაზე წერით აუაესოთ სხვა გონების (განსავითარებელი?) მასალა საღლა ვეძიოთ“. ტყუილის თქმა არ შეფერის კაცის ღირსებას და მით უფრო ბლადოჩინისას. ნუ თუ „შინაური საქმეების“ თექვსმეტევე გვერდი სამღვდლოების ლანძღვა-გინებით არის სავსე? თუ მაშ ბლადოჩინი „შინაურ საქმეებს“ ათვალერებდა, ბევრ საყურადღებო წერილებს იპოვნინდა შიგ და იმასაც დაინახავდა, რომ სამღვდლოების ძმურ (და არა მტრულ) მხილებას ძალიან ცოტა ადგილი უკავია გაზეთში. მაგრამ ბლადოჩინი, როგორც ვტყობა, თავს არ იწუხებს გაზეთის წაკითხვით და ისე ზეპირათ ღაპარაკობს; რადგან მას მოქმედება დაუწუნეს და გაიკცხეს, ჰგონია მთელი ქვეყნიერების ლანძღვა-გინება „შინაურ საქმეებში“ არის მოთავსებული. მ. ბლადოჩინი უფრო „ერთი-ორი“ მღვდლის მსჯელობაზე ამყარებს თავის აზრს გაზეთის შესახებ, რაც ძალიან სასირცხოა, თუ შერცხვება. თუ ასე არ იყოს, მოიგონებდა, რომ „შინაურ საქმეებს“ ერთი უბრალო შემ-

თხვევაც არ გაუშვია, რომ სარწმუნოების მტრებს არ გამოკამათებოდა და მათთვის შესაფერი აღგული არ ეჩვენებია.

მაგრამ ეს რა მოსახსენებელია! ბ. ბლალაჩინისათვის ცხადია, რომ უ-„შინაურ საქმეებოთ“ კულტურას ძირი არ გამოეთხრება და საქართველოც არ დაიქცევა. ასეთი მსჯელობაც სასირცხოა, ვინც შეირცხვენს. ამ ლოლიკას რომ გავყვეთ, ესევე უნდა ითქვას ყველა სხვა გაზეთებზე საითაოდ. საითაოდ აღებული ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ისე, როგორც უცხოეთისაც, ქვეყანას ვერ ააშენებს, მაგრამ თითოეული მათგანი თავის საქმეს აკეთებს, თავის წვლილი შეაქვს კულტურის საერთო საუნჯეში. წარმოიდგინე, მამაო ბლალაჩინო, რა იქნებოდა, რომ საქართველოს გარდა რუსთაველისა არ ყოლოდა სხვა მწერალნი, ან გარდა თამარისა არ ყოლოდა სხვა მეფეები? ერთი გაზეთი და ერთი კაცი ქვეყანას ვერ ააშენებს. ამის არ ცოდნა სირცხვილია.

ვინც სალი გონების თვლით იხედება და ქვეყნის კულტურას მართლა რამეთ აფასებს, უნდა დარწმუნებული იყოს, რომ ჩვენი ქართული ლიტერატურა დღემდის ცალმხრივია და არ აქცევს ყურადღებას კულტურის იმ მხარეს, რომელსაც სარწმუნოებას, ეკლესიას ვეძახით და რომელიც აუცილებელია ადამიანის კულტურულ აღორძინებისათვის. მეტს ვიტყვი, დღევანდელი ჩვენი ქართული ლიტერატურა უარს ყოფს სარწმუნოებას, როგორც კულტურის ამ აღორძინებელ ფაქტორს, უარს ყოფს ეკლესიას და მის წარმომადგენელ სამღვდლოებს. მაშინ როცა სხვა განათლებულ და დაწინაურებულ ქვეყნებში, როგორც არის ინგლისი, გერმანია და სხ. დიდი ყურადღებით ებრძვიან და ანვითარებენ საღვთისმეტყველო ლიტერატურას, ჩვენში წინააღმდეგ სრულებით აბუჩად ივლებენ მას, არც კი მიიხედვენ იქით, საითაც ღვთისმეტყველების სუნი სდის. ამ მხრით ჩვენი „შინაური საქმეები“ მგონი მეტი არ იყოს ქართულ ლიტერატურაში. შეიძლება საესეებით ვერ ახორციელებდეს იგი თავის დანიშნულებას, მაგრამ, მიუხარით,

რა არის სრული ქვეყანაზე? ჩვენ მხოლოდ იდეალის დაახლოება შეგვიძლია და არა მისი საესებით მიხწევა. მაშ ასე, ჩვენი „შინაური საქმეებიც“ აკეთებს თავის პატარა, მაგრამ დიდ მნიშვნელოვან კულტურულ საქმეს და მისი არ ყოფნა, როგორც სასულიერო ორგანოსი, დიდი ზიანი იქნება ჩვენი სამშობლო ლიტერატურისა.

ასე, მამაო ბლალაჩინო, და კვლავისთვის მაინც იმედი გვაქვს არ აყვებით „ერთი-ორი“ მღვდლის გულისთქმას, არამედ შეძლებისადაგვარად ამხილებთ, შერისხავთ და გააგებინებთ საქმის ვითარებას. იმედი გვაქვს ახალ ჩვენ თვიურ ჟურნალ „განთიადსაც“ უნაკლებლოთ გამოიწერს თქვენი საბლალაჩინოს უფრო განვითარებული სამღვდლოება. იმედი გვაქვს იმ „ერთი-ორი მღვდლის“ მსგავსი ძალიან ცოტა გეყოლებათ სამწყსოში.

რედ. მ. ს. მჭედლიძე

მადლოვის გამოცხადება

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის „შინაური საქმეების“ საშვალეებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ზუბის სამრევლო შკოლის მრზუნველს, ამავე სოფელში მოვაქრეს, გიორგი ზოსიმესძე კაროსანიძეს, რომელმაც ზუბის შკოლის შენობის დამპალი ხის სვეტები გამოკვალა თლილი ქვის ამწე (გადაუმბელი) სვეტებით, რაზედაც დაეხარჯა 50 მანეთი. ამავე შკოლას მან შემოსწირა მოწაფეებისათვის ათი სტოლი და ორი ოთხკუთხიანი სტოლი, ღირებული 5 მანეთათ და ხსენებულის შკოლის შენობის შესაღებაათ, თავის შრომას გარდა, დაეხარჯა 30 მან.

ზუბის შკოლის მასწავლებელი

ვლადიმერ კრუაშვილი

ჩვენი ფოსტა.

ორვინელ ხუცესს. — თქვენი სტატია ირისტამბება, რადგან ამ წლის ჯამაგირი წასულ კრებაზე უკვე გაანაწილეს. —

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მჭედლიძე**
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**

ჩვენნი შკაფნი. (ქურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“)

ამ ჟამად ქმობის შკაფნი ბ. ი. კვიციანიძის ქურნალ-გაზეთების კანტორაში იმეკონება შემდეგი სარწმუნოებრივ შინაარსის წიგნები და წიგნაკები:

- 1) მხედრული სახარება სამოციქულოთი და დაეთინით დიდი და პატარა ფორმატისა.
- 2) საგალობლები.
- 3) სიბრძნე ბალაფარისა.
- 4) ცხოვრება წმ. საკვირველ-მოქმედისა ნიკოლოზისა.
- 5) ცხოვრება წმ. მცს. თეკლასი.
- 6) ცხოვრება ღირსისა მამისა ილარიონ ქართველისა.
- 7) — ღირსისა მამისა მაკარი ეგვიპტელისა.
- 8) — ღირსისა დედისა თეოდორასი.
- 9) — წმ. უვეკსლო მკურნალისა პანტელეიმონისა.
- 10) ცხოვრება დიდისა მოწამისა ევსტათისი.
- 11) წამება წმ. მიქელ ტრიმიდატელისა.
- 12) ცხოვრება შვიდთა ყრმათა ეფესელთა.
- 13) ხორციელად დაფლვა ქრისტესი და შთასვლა ჯოჯოხეთში.
- 14) ცხოვრება თედორე ჯვარ-მტვირთველისა.
- 15) — ისე წიღუნველ ეპისკოპოსისა.
- 16) მანანა
- 17) ცხოვრება წმ. ევსელნისა.
- 18) ცოლქმრობა.
- 19) ფილოსოფოსი სოკრატი.
- 20) ცხოვრება წმ. მოწ. თეოდორე ტირონისა.
- 21) წამება წმ. მარინესი.
- 22) ცხოვრება წმ. იაკობ დაჭრილისა.
- 23) ცხოვრება აღმესი ღვთის კაცისა.
- 24) — თხზულება მაქსიმე აღმსარებელისა.
- 25) — ბრძნული სიტყვები.
- 26) — წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი.
- 27) წამება წმ. რაფაელისა.
- 28) ოქროს წყარო.
- 29) რწმუნული სიტყვები.
- 30) ცხოვრება წმ. მარიამ ეგვიპტელისა.

- 31) პარაკლისი დავით გარესჯელისა.
- 32) ცხოვრება წმ. მამისა დავით გარესჯელისა.
- 33) ფაბიოლა, ანუ უწინდელი ქრისტიანები.
- 34) ნოტების სახელმძღვანელო.
- 35) კარგი ყველგან კარგია.
- 36) ენის გაჩენა.
- 37) შესამე ოქრო.
- 38) ბუნება და ადამიანი.
- 39) ქრისტიანობა და დემოკრატია.
- 40) ერთი ღამე აკლდამაში.
- 41) ახალი აღთქმის საღვთო ისტორია.
- 42) გზა ცხოვრებისა.
- 43) კაიაფას ვაჟიშვილი.
- 44) პროფ. მაქს მიულლერის აზრი მატერიალიზმზე.
- 45) სარწმუნოება და მისი უარის მყოფელნი ჩვენში.
- 46) ქრისტე ღმერთია?
- 47) ქრისტიანობა ბებელის ლამბორატორიაში.
- 48) წყარო ურწმუნოებისა.
- 49) მოკლე საეკლესიო ისტორია.
- 50) სამი მცნება.
- 51) მოხსენება პროფ. ცაგარელისა საქართ. ეკ. ავტოკეფალიის შესახებ.
- 52) აკაკი როგორც მგოსანი მამულიშვილი.
- 53) არა კაც კლა.
- 54) პატარა ქრისტიანი.
- 55) წმ. ნინოს დღეობა და მისი მნიშვნელობა.
- 56) ათეიზმი, მისი წარმოშობა და გავლენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე.
- 57) სიკვდილი მართლისა.
- 58) სინამდვილე სახარებისა და ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისა.
- 59) მოთხრობა შობისათვის უფლისა ჩვენისა ი. ქრისტესა.
- 60) შებაღე ფოკა.
- 61) პატარა ქრისტიანი ანუ საჭიროა თუ არა ეკლესიაში ვიარებოდეთ?
- 62) წამება წმიდისა კლმწ. ელასისა.